572
1957

ეროვნული ბიბლიოთეკა



# დილა

„ჰყვავდი, ტურფა ქვეყანავ,
ილხინე, ივერთ მხარეო,
და შენც, ქართველო, სწავლითა
სამშობლო გაახარეო!“

№ 9 საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ჟურნალი მცირეწლოვანთათვის

სექტემბერი 1957

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ბედში მყოფი შენ ძმად მიგაჩნდეს —
ეგ ვერაფერი სიყვარულია,



საქმე ის არის, კაცს ის უყვარდეს,
ვინც ბედისაგან დაჩაგრულია!“

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დიდი ილია

ილია ჭავჭავაძე დაიბადა კახეთში, სოფელ ყვარელში, თავად გრიგოლ ჭავჭავაძის ოჯახში.

ილიკო პატარა ტანის, წყნარი, კეთილი და ყველასათვის საყვარელი ბავშვი იყო. წერა-კითხვას მის ტოლ გლეხის ბავშვებთან ერთად სწავლობდა. მოხუცებისაგან ისმენდა ხალხურ ლექსებს, ზღაპრებს და გადმოცემებს ქართველი ხალხის გმირული წარსულიდან.

გლეხის ბიჭები აცნობდნენ მას თავისი მშობლების გაჭირვებულ ცხოვრებას და პატარა, ჭკვიან ილიკოს ხშირად აფიქრებდა ჩაგრულთა ბედი.

მამამ ილია თბილისის გიმნაზიაში მიაბარა სასწავლებლად.

ილიამ პატარაობიდანვე დაიწყო ლექსების წერა და თავისი კალმით მთელი სიცოცხლის განმავლობაში ერთგულად ემსახურებოდა ქართველ ხალხს. ქართველი ხალხი დიდი მადლობით კითხულობს და სწავლობს მის მშვენიერ ნაწარმოებებს: „კაკო ყაჩაღს", „გლახის ნაამბობს", „ოთარაანთ ქვრივს" და მრავალ სხვას.

წელს სრულდება 120 წელი ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან, ხოლო 50 წელი გარდაცვალებიდან.

ილია ჭავჭავაძე

## რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან

(ნაწყვეტი)



მაშინ თორმეტის
წლისა ვიყავი,
როცა ბატონმა
სახლს მომაშორა.
წამსვე მროხაში
მე მიკრეს თავი,
ჩემს სახლ-კარიდან
გამაგდეს შორა.
ჯერ კი დავღონდი, დაჩაგრდა გული,
ყოფნა უმშობლოდ მეძნელებოდა...
სხვები ლხინობდნენ, და მე კი ლული
ცრემლისა თვალზე არა მშრებოდა.
პატარა ჩემი ამხანაგები
ჩემ გულჩვილობას იქ დასცინოდნენ,
დავიწყებოდათ თავის დარდები,
როცა ისინიც ჩემებრ სტიროდნენ!..
მეც კი მრცხვენოდა ჩემის ცრემლისა,
ჩემს ამხანაგებს გავექცეოდი,
მივუჯდებოდი ერთ ბუჩქის ძირსა
და იქ მარტოკა დიდხანს ვტიროდი.
მაგრამ ღრუბელმა გადაიარა,
თან გადიტანა ჩემი ნაღველი;
პატარა გულმა გამოიდარა
და შეუბრუნა ნაღველსა ხელი.
ჩემს ყოფას მალე შევეჩვიე მე,
კიდეც ვლხინობდი, კიდეც ვმღეროდი;
ჩემს სახლ-კარზედა არც დღე, არც ღამე
აღარ ვფიქრობდი, არ ვღონდებოდი.

7269



„რად მინდა ხმალი, თუნდ იყოს მჭრელი, თუ სიმართლისთვის დამიჩლუნგდება?"

# დედა-შვილობა

ილია ჭავჭავაძე

ნაწყვეტი მოთხრობიდან „ოთარაანთ ქვრივი"

არც ერთხელ არ ახსოვს გიორგის, რომ დედას უმიზეზოდ, ტყუილ-უბრალოდ დაეტუქსოს. რაკი ჩაუფიქრდებოდა ტუქსვას, მაშინვე გულს დააჯერებდა, რომ დედა მართალია. მართალს შეჩვეულს თვითონაც მართალი უყვარდა. ლალატი და არმობა ისე გააწიწმატებდა ხოლმე, რომ თუ საჭირო იყო, ხელსაც გამოიღებდა, ჩხუბს ასტეხდა, თავს გამოიდებდა. ჯერ კიდევ ბალღობაში მოუხდა ამისთანა საქმე და აქამდე ახსოვდა. ახსოვდა იმიტომ, რომ დედისაგან ტუქსვას, შერისხვას მოელოდა, და ამის მაგიერ დედამ კი მოუწონა:

ერთხელ — ჯერ გიორგი ათი-თორმეტი წლისა ძლივს იქნებოდა — ერთს მოზრდილს ბიჭს თავისზედ პატარა ბიჭისათვის ქამრის ლილები დაეტყუვნა. მოტყუებული ბალღი ტირილით იჭაჭებოდა და ის კი ლილებს არ უბრუნებდა. გიორგიც მაშინ იქ ყოფილიყო და ბალღებთან თამაშობდა თურმე. ყური მოჰკრა ბალღის გულამომჯდარს ტირილსა. შეიტყო მიზეზიცა და აემღვრა პაწაწა გული. დაანება თავი თამაშობას და მივარდა ლილების დამჩემებელს: მიეცი, რას ემართლებიო. იმას ხელი ეკრა მეტიჩარასათვის და გადაექცია. გიორგი წამომხტარიყო და ქვა დაეშინა. მივარდნოდა ურჩი ბიჭი, ხელახლად წაექცია გიორგი და ცემა დაეწყო. მოშველებოდნენ გიორგის სხვა ამხანაგები, ამოეღოთ ქვეშ გიორგის მცემელი, წაერთმიათ ლილები და კარგადაც დაეზილათ. თუმცა პატარა ბალღს დაუბრუნეს წართმეული ლილები, მაგრამ გიორგი კი კარგად იყო დაბეგვილი. ცხვირი გაეტეხნათ და სისხლი სდიოდა. წითელი გულისპირი სულ ჩამოეფხრიწნათ.





ცხვირ-პირ-დასისხლიანებული გიორგი, გულისპირ-ჩამოგლეჯილი, რომ შინ მიუვიდა დედას, ელდა ეცა.

— ეგ რა არის, შვილო, მაჩვენე ერთი, რა გაქვს გატეხილი?

— კუპრაანთ თედომ მცემა.

— რადა?

— თედოს მანასაანთ გოლასათვის ქამრის ლილები წაერთმია. ჩვენ უკანვე ვეინდოდა გამოგვერთმია და ჩხუბი მოგვივიდა. მომერია, ის დიდია, მე პატარა.

— მერე წაართვით?

— წავართვით.

— რა უყავით?

— ისევ გოლას მივეცით.

დედას იამა და შუბლზედ წარბი გაეხსნა.

— ნუ გეშინია, ცხვირი გაგიკაწრავს ცოტად, გაიზრდები, დაგავიწყდება, — უთხრა შვილს.

— არ დამავიწყდება. დაიცა, ერთი გავიზარდო!.. მე ვუჩვენებ, — ცემა როგორც უნდა.

დედამ შვილი გულს ჩაიკრა:

— შენ კი გენაცვალოს დედაშენი, ჩემო ქებავ და დიდებავ!

ეს გულში სთქვა და გულშივე დაიმარხა, შვილს ცხადლივ არა უთხრა რა. ხოლო ცხვირ-პირი რომ დაჰბანა და მოალამაზა, ეს დაატანა:

— აი, ჩემო კარგო, ეხლა უფრო ლამაზიცა ხარ და!.. წადი, შვილო, ითამაშე, ეხლა უფროც მოგიხდება. ტიროდა განა გოლა?

— მაშ?

— გაუხარდა ლილები?

— მაშინვე დაჩუმდა, აღარა ტიროდა.

პატარა გიორგი გამოჰწკრინდა თავის ტოლ-ამხანაგებისაკენ სათამაშოდ.

ნახატი ჯ. მახარაძისა

„...თაავგონებდე კაცთა სიყვარულს,
ძმობას, ერთობას, თავისუფლებას...“



ნინო ნაკაშიძე

ნახატი ალ. გიგოლაშვილისა

## ილია ჭავჭავაძე და პატარა ბიჭუნა

პატარა წითელლოყებიანი ბუთხუზა ბიჭუნა ფეხის თითებზე იდგა დიდი სახლის შესავალ კართან და, რაც ძალა და ღონე ჰქონდა, ცდილობდა, როგორმე ზარის ღილს შესწვდომოდა, თითი დაეჭირა და დაერეკა. ეტყობოდა, დიდი ხანია წვალობდა, შუბლსა და ლოყებზე ოფლი ჩამოსდიოდა.

ამ დროს სწორედ ამავე ქუჩაზე დინჯად მოდიოდა თეთრ ტანსაცმელში გამოწყობილი დიდი მწერალი ილია ჭავჭავაძე. ილიამ შეხედა ბიჭუნას, შეეცოდა, ხელში აიყვანა და უთხრა:

— აბა, ბიჭიკო, დარეკე!

გახარებულმა ბიჭუნამ ღილს ხელი დააჭირა და ზარმა მაშინვე სადღაც შიგნით დაიწკრიალა.

ილიამ ბიჭიკო ჩამოსვა და მხიარულად უთხრა:

— ახლა?

— ახლა, ძია, გავიქცეთ, თორემ გვცემენ...

— რაო?—გადაიხარხარა ილიამ.

— ჩქარა, ძია, ჩქარა, გესმის, კიბეზე მოდიან!—ეწეოდა ბიჭი სახელოზე ილიას.

კარი მძიმედ გაიღო.

— ილია!—მოესმა ილიას მასპინძლის ხმა:—რა ბედნიერ შემთხვევას მივაწერო თქვენი მობრძანება ჩემს ოჯახში?!

— აი, ამ პატარა ბიჭს, აგერ რომ მირბის!—იცინოდა ილია.

ილიამ თავის მოვალეობად ჩათვალა, ცოტა ხნით მაინც შესულიყო და ბოდიში მოეხადა უცნობი მასპინძლის წინაშე.

„...ასაც ვემსახურებით, მას ერთგულად კვლავ ვემსახუროთ,
ჩვენ წმინდა სიტყვა უშიშრად მოვფინოთ ხალხში...“

ქეთევან ხარიბაშვილი

## მოლაპარაკე საათი

გაისმა ზარის წკრიალი. ბაბულიამ სათამაშოები იქვე მიატოვა, წამოხტა და დედას გამოეკიდა.

დედა სტუმარს შეეგება. მიესალმა, მოიკითხა და სასტუმრო ოთახში შეუძღვა.

— ძია ილია მოვიდა!—წკრიალა ხმით წამოიძახა ბაბულიამ და მამის ოთახის კარი ხმაურით შეაღო. მამა ღიმილით გამოეგება ძვირფას მეგობარსა და სტუმარს.

ილია ჭავჭავაძეს განსაკუთრებით უყვარდა ლევან ჯანდიერის დიდი ოჯახი. ყოველთვის დინჯი და აუჩქარებელი ილია ბავშვებთან სრულიად შეიცვლებოდა ხოლმე. უმცროს გოგონას—ბაბულიას ეალერსებოდა, ეთამაშებოდა და ართობდა თავისი საათით, რომელიც მარსელიოზას უკრავდა.

ბაბულია ბუტია იყო. ეს ძია ილიამ ადრევე შენიშნა; თუ მისვლისთანავე არ გამოელაპარაკებოდა ბაბულიას, გოგონა გაიბუტებოდა ხოლმე, განზე გადგებოდა და შორიდან უთვალთვალებდა. ახლაც ძია ილიამ განგებ აარიდა თვალი. ბაბულია უკვე გაბუტული იყო, მაგრამ თვალს მაინც გააპარებდა ხოლმე ილიას გულისჯიბისაკენ, სადაც „მოლაპარაკე“ საათი ეგულებოდა.

ძია ილიამაც დიდხანს ველარ მოითმინა. ცალი თვალით გადახედა ბაბულიას და ალერსიანი ხმით შესძახა:

— ბაბულია, შენც აქა ხარ?—მერე უბიდან საათი ამოიღო და გოგონას გაუწოდა.

ბაბულიამ ძია ილიას გამოწვდილ ხელზე თავისი პატარა თითები მოუთათუნა და საათი ყურის ნაცვლად ლოყაზე მიიდო.

— წიკ-ტაკ!.. წიკ-ტაკ!.. წიკ-ტაკ!.. — გაიგონა საათის ხმა და გაიღიმა.

ძია ილიამ გოგონა მუხლზე დაისვა და საიდუმლო ხმით ჰკითხა:

— რას ამბობს საათი?—შემდეგ ლამაზი თვალები უფრო გაუბრწყინდა და თვითონვე უპასუხა:

— ბაბულია კარგი გოგოაო! არა?

— არა!—გაიქნია თავი ბაბულიამ,— წინათ ამბობდა: „კარგი გოგოაო“, ახლა კი ამბობს: „ძალიან კარგი გოგოაო!“ ხომ მართალია?

ბაბულიას მოეწონა საათის ნათქვამში ახალი სიტყვა. უფრო მეტად მიიკრა ლოყაზე, რომ დარწმუნებულიყო, მართლა ისე ამბობდა თუ არა.

საათი კი თავისთვის განაგრძობდა:

— წიკ-ტაკ!.. წიკ-ტაკ!.. — და თან მარსელიოზას უკრავდა.

ხოლო ძია ილია და ბაბულია კიამოვნებით ილიმებოდნენ.



ჯანსულ ნიკაბაძე

## სახლი ყვარელში

აუ, რამხელა მთებია,
რა კარგი, რა საყვარელი,
თითქოს ცას შეერთებია
ჩვენი ლამაზი ყვარელი.

მთის ძირას ცელქი დურუჯი
მოქრის ზათქით და ნაღარით,
ყვარელში ერთი სახლია,
ყველა კოშკებზე მაღალი.

თვალებციმციმა ბავშვები
სახლთან სიმღერით მოვედით,
აქ დაიბადა ილია,
დიდი ქართველი პოეტი.

ლხენით გავცქერით ნორჩები
ცამდე აზიდულ მთა-გორებს,
აქ სულ უბრალო კენჭიც კი
საყვარელ მგოსანს გვაგონებს.

ეს მიწა, მიწა ქართული
დედის გულივით თბილია,
მშობელ ხალხსა და ქვეყანას
აქ უმღეროდა ილია.

თქვენც ნახეთ, რა ლამაზია,
რა კარგი, რა საყვარელი,
დიდი ილიას მშობელი,
ჩვენი პატარა ყვარელი.

„ახლა მაშინ ხარ საქები,
თუ ეს წესი წესად დარგე:
და ყოველდღე შენს თავს ჰკითხო,
აბა დღეს მე ვის რა ვარგე?“

## ლუარსაბი და დარეჯანი

ნახატი რ. ფუტკირიძისა



— დარეჯან, აბა, თუ ჭკვიანი დედაკაცი ხარ, გამოიცან, ა იმ ფიცარზედ რამდენი ბუზი ზის?

ილია ჭავჭავაძის მოთხრობიდან: „კაცია-ადამიანი?!“

იოსებ ნონეშვილი

ნახატები გ. ფოინიშვილისა

## სკოლისაკენ



ჰე, რა კარგად დავისვენეთ,
სული, გული გავიკაჟეთ,
სექტემბერმა ფრთა გაგვკრა და
კვლავ სკოლაში მივალთ მარჯვედ.
მოვდივართ და მოვიმღერით,
ალსავსენი შვება-ლხენით,
ჩვენ ზაფხულში დასვენება,
ხოლო ახლა სწავლა გვშვენის.

გიორგი კაჭახიძე

## მე და გია



დილით ერთად გამოვდივართ
ოთახიდან მე და გია.
გია ჩემი დიდი ძმაა,
მე პატარა დათო მქვია.
დილით დედაც ჩვენს საქმეში
ჩვენს სიხარულს ინაწილებს.
გვეტყვის:—ჭკუით იარეთო,—
და კიბემდე მიგვაცილებს.
გავუყვებით ქუჩას ძმები,
ვუერთდებით გოგო-ბიჭებს,
მაგრამ აქაც ის უფროსობს
და მარიგებს—საქმეს იჩენს:
— წინ კვიცივით ნუ გარბიხარ,
ნუ აქნევო თავს უწესოდ,
მოერიდე იმ ძაღლს, თორემ
გაბრაზდება და გიკბენსო.—
თავი მოაქვს...
ჩემოდენა
არ ყოფილა იგი ვითომ!
მე საბავშვო ბაღში მტოვებს,
სკოლისაკენ მიდის თვითონ.

ი. გრიშაშვილი

## გამჭრიახი დალი

— წინდას რომ ქსოვ,—ეუბნება
მოხუცებულ ბებოს დალი,—
კარგად ხედავ? მიპასუხე,
მელებურად გიჭრის თვალი?
— ოი, შენ კი გაიხარე,
გენაცვალოს შენი ბებო,
ვერა ხედავ, სათვალე მაქვს,
ახლოს ვეღარ ვიხედები!
— ჰო... კბილები? როგორია?
შეგიძლია ღეჭვა კარგად?—
— ვერც კბილებით დავიკვნეხ,
დამცვივდა და დამეკარგა!
— მაშ ეს ვაშლი შემინახე,
ხელს არ ახლებ, ვიცი, ამას,
როცა თამაშს მოვათავებ,
შევუდგები მაგის ჭამას.

მაყვალა მრევლიშვილი
ნახატები შ. მხადაძისა

# პაწაწინა ლექსები



კნავის კატა კატუნა,
თავი მოიკატუნა:
— მშიააო,
მიაავ!
— აჰა, ჭამე, კატუნა,
ფაფა შენთვის მომქონდა.
არ იწუწკო ოღონდა!

თაგუნია
თაგუნა,
ფისოს
მოეკაკუნა:
— არა ვსივარ
კარებთან,
გამობრძანდი
გარეთა!



დიდ კენგურუს მუცელთან
რა ჰქონია?—ჩანთა!
პაწაწინა კენგურუ
იმ ჩანთაში ჩანდა.



წყალში დგანან
ყანწები
აწოწილი
კანჭებით.
აღარ ხტიან
მალაყებს,—
ეშინიათ
ბაყაყებს.



აგანგალა
განგალა,
გამოქანდა მანქანა,
წიწილები დავიფრთხო,
კრუხი აკაკანა.
გადმოუხტა გიმერა:
— შე ჯიცი და მაგანა!



წერო წერდა წერილს,
წინ დაუხტა მწყერი:
— მომეცალე, წერო,
ცოტა მეც გწერო!



ვენახიდან გავაბრძანეთ,
ვაზებს კრეტდა დიდი თხა.
გაიკვირვა დატუქსვა:
— მე ვჭამეო?!—იკითხა.

ეკლ[illegible] გორგლად იქცა
უცბად ჩვენი ზღარბი,
მურა უყეფს, მაგრამ
არ მოხარა წარბი...
მურა ჩამოსცილდა,
გასწორდა და გარბის!



გამოფრინდა
რაინდი,
დაიყივლა:
ყიყლიყო!
ფრთები
ააფართხუნა,
გამოიცან:
ვინ იყო?

კაკაკუთუ ქანდარა,
დიდი არა ჩანდა რა.
მოეწონა ქანდარა,—
ზედ მამალი დაჯდარა,
ჩამოსძახა ლამპას:
— აქ ჩამოჯექ, მანდ არა,
თორემ შეგჭამს მელია,
მელა კუდიგრძელია!



ახუნძლული
ვაშლები
ნეტავ საით
გარბიან?
ზურგზე
ვაშლებასხმული
ეს ხომ დედა ზღარბია.
ვაშლს უზიდავს ზღარბუნებს,
კბილას, კბილას არიგებს!



ელნათურა
ნათურა,
მავთულს აბამს
დათუნა.
გაანათებს
ფუღუროს,
რომ დამურებს
ფუღუროს.



# იხვი

**რევაზ ინანიშვილი** ნახატები **გ. თოთიბაძისა**

მატარებელი თბილისს რომ გასცდა, პატარა სადგურთან შეჩერდა, იკივლა და შიშინით განაგრძო გზა.

მესამე ვაგონში ტყავისქურთუკიანი მონადირე შევიდა. მას ხელში ნარმით თავმოკრული კალათი ეჭირა და კუპეში მყოფ მგზავრებს მიმართა:

— შეიძლება?

— მობრძანდით, ბატონო!—მიიწ-მოიწიეს მამაკაცებმა.

მონადირე შევიდა. ბუდეში ჩადებული თოფი და შავად გაპოხილი ჩანთა კაუჭზე ჩამოჰკიდა, კალათი მერხის ქვეშ შედგა, ქურთუკი გაიხსნა, ჯიბიდან საათი ამოიღო და ის იყო სახურავი ახადა, რომ ერთი ყიყინ-ფართხალი ატყდა. თურმე მონადირეს თავმოკრული კალათით ცოცხალი იხვი მიჰყავდა. ამან ყველა დააინტერესა.

— შინაურია თუ გარეული?

— სად მიგყავთ?

— ეს მძახებელი იხვია,—თქვა ჭაღარა მამაკაცმა.—როდესაც მონადირეები ტბაზე ნადირობენ, ასეთ იხვებს ნაპირზე აბამენ. თვითონ ლელიანში იმალებიან და თოფმომარჯვებულნი იცდიან. [illegible] მოივლის გუნდი, დაინახავს, რომ მათი ძმები არხეინად ცურავენ ტბაზე და ისინიც დაეშვებიან ყიყინით. მონადირეებსაც მეტი რა უნდათ! ბუჰ! ბუჰ! და ჩამოჰყრიან პანტაპუნტით. ხომ ასეა, ძმაო?

— ასეა, მაგრამ ეს იხვი მაგისათვის არ მიმყავს,—მიუგო მონადირემ.

— აბა?

— უნდა გავუშვა.

— სად? რატომ?

მონადირემ აფორიაქებულ ფრინველს კალათიდან თავი ამოაყოფინა.

— ეს იხვი ამ ორიოდე კვირის წინათ დავჭერი ჯანდრის ტბაზე. რომ იტყვიან—ცხვირწინიდანო,—სწორედ ისე ამიფრინდა. სროლა ძლივს მოვახერხე. წამოვიდა, წამოვიდა და შამბში გაიხლართა. ჯერ ვიფიქრე, მოვკლავ-მეთქი. მაგრამ ვნახე, რომ მხოლოდ ფრთის წვერი ჰქონდა წამტვრეული და სხვა აზრს დავადექი. მოდი, ცოცხლად წავიყვან, მოვარჩენ, იქნებ რამეში გამომადგეს-მეთქი. აი, თქვენ რომ ბრძანებდით, ისეთ რამეში.

წამოვიყვანე შინ. აქ ვმუშაობ გზის ოსტატად. პატარა ბიჭი მყავს, სამი წლის, გუნდასავით მრგვალი. სიხარულით ცას დაეწია. მე დარიგება დავუწყე:

— ეს იხვი ავად არის, შვილო. აი, ფრთიდან სისხლი მოსდის, ნუ აწვალებ, ცოდოა.



მაგრამ რას გააგონებ! როცა შინ ვიყავი, კიდევ არა უჭირდა, ერიდებოდა. წავიდოდი სამუშაოდ და მთელი უბნის გოგო-ბიჭებს დაახვევდა; სახლი აუშენეს, რბილი საბუდარი დაუგეს, ორმო ამოუთხარეს და წყლით გაულიცლიცეს.

ამ გუბეში თუ ნებით არ ჩადიოდა, ძალით ასეირნებდნენ, ზურგზე აწვებოდნენ და ფრთებს უჭერდნენ.

იხვი ფართხალებდა და ყველას სწუწავდა. მე მხოლოდ მეღიმებოდა.

მაგრამ ამას წინათ ისეთი ამბავი მოხდა, რომ გადავწყვიტე, ეს იხვი გავუშვა... ახლა ამიტომ მივდივარ.

— რატომ, რა მოხდა ასეთი?

— რა მოხდა და... აივანზე ვიჯექი, გაზეთს ვათვალიერებდი. უცებ ყიყინი შემომესმა, უცნაური ყიყინი,—ნამდვილი ვაი-ვიში! ვიფიქრე, ის მაიმუნი ბიჭი იხვს აწვალებს-მეთქი. წამოვხტი, ბაღში შევირბინე და აღარ მახსოვს, ვიყვირე, თუ ენის დაძვრაც ვერ მოვახერხე. უთუოდ ვიყვირე, რადგან თვალის დახამხამებაში მეზობლებით გაივსო იქაურობა.

— რა იყო ისეთი, რა?—ერთხმად შეეკითხნენ მგზავრები.

— გველი. დიდი,. რუხი, შხამიანი გველი ნელ-ნელა მიიზლაზნებოდა იხვის გუბესთან, უკან ჩემი ჯუმბერი მისდევდა, აღტაცებით იძახდა: დიდი ჭია! დიდი ჭიაო! და ცდილობდა ბოლოში ეტაცნა ხელი. იხვი ხედავდა ამას და ყიყინებდა, იფათრებოდა, აქეთ-იქით აწყდებოდა. ბიჭს ხელი დავტაცე, გამოვაქციე.

— გველი?

— იმას ვჩიოდი? წავიდა, ღობეში შეძვრა. როგორც კი დავრწმუნდი, რომ ბავშვი უვნებელი იყო, იხვისაკენ გავექანე, ავიყვანე და ისე დავუწყე კოცნა, როგორც ჩემი შვილის მხსნელ ადამიანს დავკოცნიდი. ეს რომ არ ყოფილიყო, ამას რომ ყიყინი არ დაეწყო, რას გავიგებდი! წაავლებდა ბიჭი ხელს იმ წყეულს და დავიღუპებოდი.

ახლა მიმყავს, საიდანაც წამოვიყვანე, იქ უნდა გავუშვა. თოფზეც ხელი ამიღია. სულ ვანებებ ნადირობას თავს!

— გეკუთვნის, ძმაო, გეკუთვნის,— დაუდასტურეს მგზავრებმა და დაუმატეს: —აბა, ერთი კარგად შეგვახედე მაგ იხვს!

მონადირემ კალათი წინ წამოსწია. იხვმა აქეთ-იქით მიმოიხედა და, თითქოს ესალმებაო, რამდენჯერმე წამოიძახა:

— ყვიტ-ყვიტ! ყვიტ-ყვიტ!



ეროვნული ბიბლიოთეკა



# დაკეტილი სახლი

გურამ ბახტაძე

ნახატები ან. კანდელაკისა

არის ერთი დიდი სახლი, რომელიც მუდამ დაკეტილია. დაკეტილ სახლში თითქოს არავინ არ უნდა მუშაობდეს. მაგრამ იქ დღედაღამ გუგუნი გააქვთ მანქანებს.



რა უცნაურია! როცა სადმე მიდიხართ და შინ არავინ რჩება, დედა ყველაფერს გამორთავს ხოლმე, ელექტროღუმელსაც, უთოსაც და სინათლესაც. იმიტომ, რომ ეშინია, შემთხვევით ხანძარი არ გაჩნდეს. აი, ამ სახლში კი კარი დაკეტილია და ელექტროდენი მაინც ჩართულია; არა მარტო ჩართულია, არამედ თურმე სწორედ აქ „იბადება“ ელექტროდენი.

ეს სახლი სადმე ქალაქგარეთ მდინარის ახლოს დგას და დიდი ელექტროსადგური გახლავთ.

წყლის ნაკადს მოძრაობაში მოჰყავს მანქანები, ტრიალებენ ტურბინები და მავთულებით გვიგზავნიან ელექტროდენს; გაჩახჩახებულია ჩვენი სახლი, შენს მაგიდაზე პატარა ელნათურა ანთია და შენს წიგნებს დაჰნათის. ელექტროღუმელი ჩართულია და ზედ ჩაიდანი თუხთუხებს.

ეს როგორ ხდება? — გაიკვირვებ შენ,—ელექტროსადგური ხომ დაკეტილია, იქ არავინ იმყოფება. მაშ ვინ მართავს და მბრძანებლობს ამ მანქანებს?—მორიგე ინჟინერი. მის სანახავად ქალაქში დაგჭირდება ჩასვლა. საკვირველია, ასე შორიდან ნეტავ როგორ მართავენ?

აი, შევიდეთ ამ დიდ სახლში, სადაც ზის მორიგე ინჟინერი. შეხედ, ოთახში რამდენიმე ღილაკია. ისინი ძალიან ჰგავს შენი სახლის კარზე მიჭედილ ელექტროზარის ღილაკს.

შენი სახლის კარზე ამგვარ ღილაკს თითს რომ დააჭერ, ზარი დარეკავს. ეს იმიტომ, რომ მავთულში დენი გაივლის. აქაც ღილაკს თითს დააჭერენ და ქალაქგარეთ ელექტროსადგურში მანქანა ან ამუშავდება ან გაჩერდება, — როგორც ინჟინერს სურს.



აი, კუთხეში რაღაც პატარა მანქანა არ შეამჩნიეთ? ტელეფონის აპარატს ჰგავს, თან პატარა ეკრანიც აქვს. ეს მანქანა სწორედ გაჭირვების ტალკვესს წარმოადგენს. მაგალითად, საშინელი ქარბუქი ამოვარდა, დაარხია ხეები, ეცა მავთულს და სადღაც გაწყვიტა.

ჩაქრა სინათლე. დენი აღარ არის! ელექტრონის ბოძები ძალიან შორს, ხევებსა, მინდვრებზე და მთაგორებზე დგას. თუ არ იციან სად, რა ადგილას, რომელ ბოძზე გაწყდა მავთული, როგორ წავლენ და გააკეთებენ? ძებნას ძალიან დიდი დრო დასჭირდება. ხომ არ შეიძლება ამდენ ხანს გააჩერონ ფაბრიკა-ქარხნები, ისინი ხომ დენის გარეშე ვერ იმუშავებენ.

აი, სწორედ ასეთი გაჭირვების დროს ჩართავენ ამ აპარატს. მის ეკრანზე სწრაფად გამოჩნდება, სად არის გაწყვეტილი მავთული. ავტომანქანა მუშებს უკვე ელოდება. ისინიც ჩასხდებიან და იმ ადგილისაკენ სწრაფად გასწევენ.

თქვენ გგონიათ, იმ დიდ დაკეტილ სახლიდან დენი პირდაპირ ჩვენს სახლში მოდის?

არა, ჯერ ქვესადგურში შეისეირნებს, რომელიც მაღლობზეა გაშენებული. ისიც დაკეტილი გახლავთ.

მხოლოდ გვერდით პატარა შენობაში ზის მორიგე და წიგნს კითხულობს. რად გაგიკვირდათ? მორიგე ინჟინერს აქ ბევრი საქმე არა აქვს; თუ მანქანებს რაიმე „გაუჭირდათ", კედელზე ზარი დარეკავს. მორიგეც მივა და „მიეშველება".

ამ მეორე დაკეტილ სახლში ყოველ მანქანასთან რკინის კოლოფები დგას. მათ დარაჯებს ეძახიან. როცა მანქანას რამე გაუჭირდება, სწორედ ისინი ურეკავენ მორიგეს და აცნობებენ, მოდით, მოგვეშველეთო. თუ მორიგეს ცოტა შეაგვიანდა, მანქანას თვითონ გამორთავენ და გააჩერებენ კიდეც, არაფერი დაუზიანდესო.

აი, რა „ჭკვიანი" მანქანები არსებობს ქვეყანაზე.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

# გამოძახილი

**ჩინური ზღაპარი**

ერთხელ ფინია მთებში წავიდა. სალი კლდეები გადმოსწოლოდა ბილიკს და იქაურობას აბნელებდა. მას მოაგონდა პატრონის ნათქვამი: მაღალი და სასტიკია ეს მთები, რამდენი გაბედული ადამიანი მოჰყოლია ზვავს, ანდა უფსკრულში გადაჩეხილაო. ამიტომაც, რა გასაკვირია, რომ ფინიას შეეშინდა. მაგრამ სიღაჩრის გამომჟღავნება არ უნდოდა და ორ-სამჯერ დაიწკავწკავა. გამოძახილმა ზუსტად გაიმეორა მისი ხმა. ფინიამ იფიქრა, თვითონ მთა მპასუხობსო, გული მოეცა და აგდებით თქვა:

— თუმცა მაღალი მთაა, მაგრამ ჩემზე დიდი ხმა მაინც არა ჰქონია. ბრიყვები რომ არა ჩმახავდნენ მასზე ათასნაირ სისულელეს, ჩვენს შორის არავითარი განსხვავება არ იქნებოდა.

ამ დროს ლრუბელი გადაევლო მთას. ჭექაქუხილმა გაიგონა ფინიას ტრაბახი და იგრიალა:

— შენ რასა ყბედობ?

უზარმაზარმა მთამაც რამდენჯერმე გაიმეორა:

— შენ რასა ყბედობ? შენ რასა ყბედობ? შენ რასა ყბედობ?! ობ-ობ...

ყურთასმენა წართმეულმა საცოდავმა ფინიამ წაიღუღლუღა:

— მე... მე... არაფერს...

და კუდამოძუებული გაეშურა შინისაკენ. უკან არც კი მოუხედავს.

თარგმნა **მოსე ქარჩავამ.**



შალვა ამისულაშვილი

ნახატები ი. გაბაშვილისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბულბულის შვილობილი

ხალხური გადმოცემით, ოდესღაც გუგულსაც ჰქონია ბუდე.

„გუგუ-გუგუს“ ძახილით
ბუდეს მოსწყდა გუგული
და ტყეს გასცდა თუ არა,
ატყდა რაღაც გუგუნი...
შედგა, შემოტრიალდა,—
ირწეოდა მთელი ტყე!
— რაო, ჩიტო, ჩიტუნავ,
ვერაფერი შეიტყვე?!—
რა იცოდა საწყალმა,
ქარი ქროდა აშარი,
იმსხვრეოდა, გმინავდა
ლამაზ ხეთა ლაშქარი...
თავი მოინუგეშა,
სხვა რა ექნა ნეტავი?
მინდვრებს დაჰყვა ბოლომდე,
კენკა ასაკენკავი...
როცა მოსასვენებლად
კვლავ უკანვე დაბრუნდა,
ხეზე თვალი ვერ მოჰკრა
თავის კოხტა საბუდარს;
მწარე ცრემლის კურცხალმა
დაუნამა ლაწვები:
— კვერცხი სადღა დავდოო?
წუხდა ელდანაცემი...





* * *

ბოლოს მაღალ ბალახებს
მიაშურა ნაწყენმა;
ბუდე ახლად აეგო?
მაინც ვერ მოასწრებდა.
აღარ უცდება კვერცხები.
ერთს დასდებს?
ბუდე რომ არ აქვს,
სულ სხვის ბუდეებს
შესცქერის.
შესცქერის, მეტი რა გზაა,
სხვების იმედით
სულდგმულობს.
— კვერცხი არ შემოგაპაროს,
ფრთხილად იყავი, ბულბუ-
ლო!..
არ დაიჯერა ბულბულმა
ეს დარიგება მთვარისა,
ბუდე დასტოვა, სიმღერით
ბუნება გაახალისა...
გუგულმა ჩუმად, უვნებლად
საქმე გაჩარხა თავისი,
მერე კი ჩაჰყვა ბუჩქნარებს
ჩვეული სიდარბაისლით.
აუღელვებლად გახედა
ქვეყანას მაღალ-მთებიანს,
თან „გუგუ-გუგუ“ დასძახა,
ვითომცდა არაფერია!..

* * *

მინდვრიდან მოქრის
ბულბული,
მოაქვს ნისკარტით საკვები;
რა ადრიანად გარჯილა,
ჩანს, გამოჩეკა ბარტყები.
ჰო, მართლა გამოუჩეკავს!
ხედავთ სამ ნისკარტს
კოპწიას?!



ბუდეობა იმჯერად
გაუწია ბალახმა,
დადო კვერცხი პირველი,
გამხნევდა და გალაღდა...
ორი კვირა გავიდა,
დადო კვერცხი მეორეც;
ჰქროდა, თავს აწონებდა
ჭრელბუმბულა მეგობრებს...
მაგრამ როცა ნისკარტით
შეამოწმა პირველი,
ურუანტელმა შეიპყრო
უბინაო ფრინველი.
განსაცდელში ჩავარდნილს
ხმა მოესმა ბალახთა:
— რაღას დასცქერ, გუგულო,
რა ხანია, გალაყდა...
კვერცხებს რომ სდებ
ბალახზე,
ისიც აგრე გვიანო,
აბა, მაშ რა გეგონა,
ლამაზნისკარტიანო?!

* * *

მას შემდეგ „გუგუს“
მგალობელს

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამნი არიან, სამნივე
ერთიმეორეს ჰკოცნიან...
გახარებული ბულბული
ყველას თანაბრად აპურებს,
ვიდრე არ მოჩიტდებიან,
გულს არვის დაუნაკლულებს.
დრო გადის, ერთი მათგანი
ყველაზე მალე იზრდება,
სულ „მშია-მშიას“ შესძახის
დედობილს, როგორც ღვიძლ
დედას.
იქნება ხვდება ბულბული,
რომ ის გუგულის ბარტყია,
მაინც არაფერს იშურებს,
რა ქნას, დედური ხათრი აქვს!..





* * *

ჩხიკვი კვდება სიცილით
ავყიაზე ავყია:
— შვილობილი ბულბულის
რა ყოჩაღი ბარტყია!
თავის ძმობილ-დობილი
გადმოყარა ბუდიდან,
თვითონ ბატონკაცივით
შიგვე ჩაჯდა გულდიდად! —
შინ მისული მინდვრიდან
ფიქრს მიეცა ბულბული:
— სხვები რაღა იქნენო?! —
აებურძგლა ბუმბული...
მალე სტვენით მოუხმო
სტუმრად წასულ მეუღლეს,

ბუჩქებს ჩხრეკა დაუწყეს,
ტყეში მიმობნეულებს.
ძებნეს, ვერსად იპოვნეს,
შინ დაბრუნდნენ საჩქაროდ;
— ფხიზლად ვიყოთ, კიდევ
ხომ
ერთი ბარტყი დაგვრჩაო!..

* * *

ქორწილი ჰქონდათ შოშიებს,
მაყრებად ჰყავდათ შაშვები,
მღეროდნენ ბულბულები და
აჯილდოებდნენ ტაშებით.
ტკბილად ეძინა ბუდეში
ბულბულის ამაყ შვილობილს,
თავს იწონებდა სიზმარში
თავისი მხარგაშლილობით...
და როცა ლხინის ხმაურზე
გამოაჭყიტა თვალები,
თქვა: მე აქ მარტო რა მინდა,
ჩანს, არვის არ ვებრალები.
ამ დროს ხევგაღმა გუგულთა
გაჩაღდა „გუგუს“ ძახილი,
ესიამოვნა, ასწია
ნისკარტი დაბლა დახრილი.
ძალა მოეცა, წამოდგა,
ფრთები გაშალა თამამად,
გაფრინდა ფრიალ-ფრიალით,
დილის ბინდბუნდმა დამალა.

* * *

ქორწილში ღამენათევი
ბუდეს მიადგა ბულბული.
ამომავალ მზეს მიაპყრო
თვალები ამოღრუბლული:

— მზეო, შენ შემოგევლები,
შვილი დავკარგე მესამე,
გზა გამინათე! ეგების
ვიპოვნო, შენი კვნესამე...
ეგ არის, მარტო სიმღერა
ვერ შევასწავლე ვერასგზით,
თორემ ვინ დაიწუნებდა
გახაჩხაჩებულს, ფერავსილს. —
სძიმეა დარდი დედისა,
უფრო და უფრო ატირდა,
გულზე ცეცხლმოკიდებული
დაეშვა წყაროს ნაპირთან...
იქვე არწივი მჯდარიყო,
ვით ქვისგან გამონათალი.
აფრინდა, დედამიწაზე
სიტყვა დასტოვა მართალი:
— ზოგ დედას დედა
ჰქვია და
ღირსი არ არის დედობის;
მე ნამდვილ დედას დავარქმევ
ბულბულისთანა დედობილს!



ეროვნული ბიბლიოთეკა



# ბრძენი თუთიყუში

ინდური ზღაპარი

ერთ ვაჭარს თუთიყუში ჰყავდა.

ერთხელ ამ ვაჭარმა ბენგალიაში[1] გადაწყვიტა წასვლა. გამგზავრების წინ შეკრიბა შინაურები და უთხრა:

— აბა, მითხარით, ვის რა ჩამოგიტანოთ საჩუქრად?

ყველამ სათითაოდ დაიბარა, რაც სურდა. ბოლოს ვაჭარი თავისი თუთიყუშის გალიასთან მივიდა.

— შენ რაღა ჩამოგიტანო?—ჰკითხა თუთიყუშს.

— შენი წყალობა მე არ მაკლია,—მიუგო თუთიყუშმა,—მაგრამ, თუ შემისრულებ, ერთ რაღაცას გთხოვ.

— მაინც რა გინდა?—ჰკითხა ღიმილით ვაჭარმა,—თუკი შევძლებ, აუცილებლად შეგისრულებ.

მაშინ თუთიყუშმა უთხრა:

— ბენგალიაში, იმ ადგილის მახლობლად, სადაც სავაჭროდ მიდიხარ, ერთი მინდორია. ამ მინდორზე დიდი ხე დგას, რომელზეც აურაცხელი თუთიყუში ბუდობს. ძალიან გთხოვ, როგორმე მიდი იმ ხესთან და თუთიყუშებს ჩემი სალამი გადაეცი, შემდეგ უთხარი: „ჩემმა თუთიყუშმა, გალიაში რომ მიზის, თქვენთან ასე დამაბარა: ტყეებსა და ბაღებში თავისუფლად რომ დანავარდობთ, იმათ რატომ არ კითხულობთ, ვინც გასაჭირშია, ასეთი გულქვა როგორ ხართ! ხანდახან რომ მოფრინდებით, ტყვეებს ცოტა ხნით დაგვხედავთ და მყისვე ხილის საჭმელად გაფრინდებით, განა ესაა მეგობრობა! თუ არ გვიშველით, გალიაში ამოგვხდება სული!“ მერე მოუსმინე, რას გიპასუხებენ, და ამბავი მომიტანე. ამით დიდ სამსახურს გამიწევ.

— კარგი, შეგისრულებ სათხოვარს!—მიუგო ვაჭარმა და მისი სიტყვები ჩაიწერა.

ჩავიდა ვაჭარი ბენგალიაში, იყიდა საქონელი და სახლში გამგზავრების წინ გაემართა იმ მინდვრისაკენ, რომლის შესახებაც თუთიყუშმა უთხრა. მივიდა იმ ადგილას და ნახა, რომ მინდორზე მართლაც ერთი დიდი ხე იდგა, ტოტებზე თუთიყუშები ისხდნენ.

— ჰეი, თუთიყუშებო! ჩემმა თუთიყუშმა სალამი შემოგითვალათ,—ასძახა ვაჭარმა და სიტყვასიტყვით გადასცა თავისი თუთიყუშის დანაბარები. მას სათქმელი არც დაემთავრებინა, რომ თუთიყუშები უსულოდ ჩამოცვივდნენ მიწაზე. გაოცებულმა ვაჭარმა დახედა მკვდარ თუთიყუშებს და გაიფიქრა: ალბათ, ეს გარეული თუთიყუშები ჩემი თუთიყუშის გულითადი მეგობრები იყვნენ და, მისი შემონათვალი რომ გაიგეს, დაიხოცნენო.

ვაჭარი სახლში მშვიდობით დაბრუნდა და შინაურებს სათითაოდ დაურიგა საჩუქრები. მხოლოდ თუთიყუშისათვის არ უთქვამს პასუხი: შეეცოდა, მეგობრების სიკვდილი როგორ ვაცნობოო, და დუმილი არჩია.

მაშინ თუთიყუშმა თვითონ ჰკითხა:

— ჩემო ბატონო, ნუთუ თუთიყუშებისათვის ჩემი სალამი არ გადაგიცია?

— სალამი კი გადავეცი, მაგრამ პასუხი არ მიმიღია,—უპასუხა ვაჭარმა.

თუთიყუშს ძალიან ეწყინა და ჰკითხა:

— ის მაინც მიამბე, რა ნახე მინდორზე.

რა ექნა ვაჭარს, უამბო, რაც მოხდა:

— მივედი იმ მინდორზე, შენ რომ მეუბნებოდი, ვხედავ,—ხეზე თუთიყუშები სხედან; მაგრამ შენი სალამი გადავეცი თუ არა, ყველა უსულოდ დაენარცხა მიწაზე... ამიტომაც ვეღარ გითხარი.

როგორც კი დაასრულა ვაჭარმა სათქმელი, მისი თუთიყუშიც მკვდარი დაეცა.

ვაჭარს ძალიან დაენანა თუთიყუში და გაიფიქრა: ნეტავ არ მეთქვა, რომ მეგობრები დაეხოცა! მერე თუთიყუშს ფეხებში ხელი ჩაავლო და ფანჯრიდან გადაისროლა.

თუთიყუშმა კი ფრთა ფრთას შემოჰკრა და გაფრინდა.

მაშინ მიხვდა ვაჭარი, რომ გარეული თუთიყუშები სულაც არ დახოცილან,—მათ მხოლოდ თავი მოიმკვდარუნეს და ამით ასწავლეს მეგობარს, როგორ დაეხსნა თავი ტყვეობიდან.

თარგმანი ციალა კარბელაშვილისა

ნახატი ალ. ვეფხვაძისა

1) ბენგალია—ინდოეთის ერთ-ერთი პროვინციაა.

6·125/177
ეროვნული ბიბლიოთეკა



ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი საგურამოში

ნახატი **ვახტანგ ჯაფარიძისა**

ყდაზე: „ილია ბავშვებში“ ნახატი შ. ცხადაძის და ალ. გოგოლაშვილისა

ყდის მეორე გვერდზე „კაკოსა და ზაქროს საუბარი“. ნახატი უჩა ჯაფარიძისა

რედაქტორი იოსებ ნონეშვილი. სარედაქციო კოლეგია: ი. გრიშაშვილი, კ. გოგიაშვილი, მაყვალა მრევლიშვილი (რედაქტორის მოადგილე), ი. სიხარულიძე, ნ. უნაფქოშვილი, შ. ცხადაძე (სამხატვრო რედაქტორი)

გამოცემის ოცდამეათე წელი

ფასი 2 მან

Д И Л А—ежемесячный детский журнал ЦК ЛКСМ Грузии № 9, сентябрь. 1957 г. Тбилиси, Просп. Плеханова 91.

საბლიტგამი, რედაქციის მისამართი: თბილისი, პლეხანოვის პროსპ. 91, ტელ. 3-37-38. გამომც. შეკვ. № 372 სტამბის შეკვ. № 1484

ტირაჟი 15000 უე 01278 ხელმოწერილია დასაბეჭდად 5/VIII 1957 წ. ჟურნალი დაბეჭდილია ლითო-ოფსეტურ ბეჭდვის ფაბრიკაში